სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/11

ქ. თბილისი 27 მარტი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წინადადებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 მარტის №01-05-04/66 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 27 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებების ფარგლებში მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

   ა) სამუშაო ჯგუფმა უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობა გააგრძელოს დისტანციურად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით;

   ბ) დასამუშავებელ საკითხებზე პროექტის წარმოდგენის ვადა გაგრძელდეს 1 (ერთი) თვით;

   გ) სამუშაო ჯგუფისათვის ქმედითი დახმარების გაწევის მიზნით, რაც გამოიხატება სამუშაო ჯგუფის მიერ დაგროვებული ინფორმაციის გადამუშავებაში, გაანალიზებასა და

დასკვნის პროექტის მომზადების პროცესში, 1 (ერთი) თვით მოწვეულ იქნენ რეორგანიზაციის საკითხებზე მომუშავე ქვემოთ ჩამოთვლილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (ექსპერტები), რომლებთანაც გაფორმდეს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება და თითოეულის ანაზღაურება განისაზღვროს 1250 ლარით:

- არჩილ დადიანი – შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), ამავე უნივერსიტეტის დამფუძნებლის მრჩეველი ორგანიზაციის განვითარებისა და ადმინისტრირების მიმართულებით;
- დევი ხვედელიანი – ნიუ უნივერსითის ვიცე-რექტორი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საბჭოს წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს „ბიზნესისა და კონსალტინგის აკადემიის" დირექტორი;
- თამარ შუკაკიძე – ამერიკული ჰოსპიტლის (თბილისი) ადამიანური კაპიტალის მენეჯერი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მრჩეველი ხარისხის მენეჯმენტში, „Linton Group LLC"-ის ბიზნესის განვითარების მენეჯერი, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ტრენერი, შპს „VIP Intelect Group"-ის ტრენერი;
- დავით მახვილაძე – შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, ამავე ფაკულტეტის იურისტი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**